# საქართველოს კანონი

## პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 25.05.2012, სარეგისტრაციო კოდი: 240110000.05.001.016708) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 26-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ, ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პირები ჯარიმდებიან დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ, გარდა ამ კოდექსის $45^1$ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.“.

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის $45^1$ მუხლი:

„**მუხლი $45^1$.** სათანადო ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების გაუთვალისწინებლობა

1. სათანადო ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების გაუთვალისწინებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 30 000 ლარით.

2. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაჯარიმების შესახებ დადგენილების მიღებასთან ერთად წერილობით აფრთხილებს დამრღვევს მშენებლობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურულ და გეგმარებით ელემენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე და დარღვევის გამოსასწორებლად აძლევს არანაკლებ 30-დღიან ვადას.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაწესები გამოიყენება მშენებლობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურულ და გეგმარებით ელემენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფამდე.“.

**მუხლი 2.** უზრუნველყოფილ იქნეს აშენებული და მშენებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების სათანადო ტექნიკური რეგლამენტისა და მისაწვდომობის ეროვნული გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობა. აღნიშნული შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები განისაზღვროს უნივერსალური დიზაინის სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტის ან/და მისაწვდომობის ეროვნული გეგმის მიხედვით. მითითებული ობიექტების აღნიშნულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება განხორციელდება საერთო წესებით.

**მუხლი 3**

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლისა, ამოქმედდეს 2020 წლის 12 მაისიდან.

2. ამ კანონის მე-2 მუხლი ამოქმედდეს 2021 წლის 14 ივნისიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი** **სალომე ზურაბიშვილი**

**თბილისი,**

**5 თებერვალი 2020 წ.**

**N5708-IIს**